ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 286

"19" ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. №39-ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.048.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალა უბანი ჰოსფიტალითისთვის" (ს/ნ 404737148) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. №39-ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.048.036) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 4 ივნისის №25.910.1011 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. №39-ის მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.048.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალა უბანი ჰოსფიტალითისთვის" (ს/ნ 404737148) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 6300 (ექვსი ათას სამასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე